საქართველოს მოსამართლეთა XII კონფერენცია

(28 დეკემბერი 2013 წელი)

თბილისის საქალაქო სასამართლო

დღის წესრიგი

რეგისტრაცია 12:00 – 13:00 სთ.

1. **13:00 – 13:20 სთ.**

   საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის – ბ-ნი კონსტანტინე კუბლაშვილის მოხსენება;

2. **13:20 – 13:30 სთ.**

   საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის – ბ-ნი დიმიტრი გეგელიას ყოველწლიური ანგარიში;

3. **13:30 – 13:40 სთ.**

   ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევა;

4. **13:40 - 14:40 სთ.**

   სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეების 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნასა და მონიტორინგთან დაკავშირებით განცხადების შემუშავება;

5. **14:40 სთ. – სადილი.**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2013 წლის 17 ნოემბრიდან ამოქმედდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსამართლის (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) თანამდებობაზე უვადოდ განწესების წესს. აღნიშნული წესის შემოღება სასამართლო რეფორმის გზაზე უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსამართლის (სასამართლოს) დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, რომელმაც დაადგინა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე განწესება 3 წლის ვადით, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლის განსაზღვრული ვადით დანიშვნის რეგულაციის შემოღება არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას. უპირველეს ყოვლისა, ვაცხადებთ, რომ ჩვენ ცალსახად ვემიჯნებით მოსაზრებას, რომლის მიხედვით, 3 წლით თანამდებობაზე განწესების პირობებში, ჩვენი სუბიექტური დამოკიდებულება იქნება განსხვავებული, ვერ ვიქნებით დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები და დავემორჩილებით გარე და შიდა გავლენებს. მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებულება და სამოსამართლო უნარ-ჩვევები შეუძლებელია შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რა ვადით არის იგი განწესებული მოსამართლედ. თუმცა ვფიქრობთ, ამგვარი ჩანაწერი დააზარალებს ქართული სამოქალაქო საზოგადოების თვალში სასამართლო დამოუკიდებლობის აღქმას. საზოგადოების თვალთახედვით, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე შესაძლოა, მოექცეს გარკვეული ზეგავლენის ქვეშ, რაც უარყოფითად აისახება მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. განსაკუთრებით სახიფათოა კანონით გათვალისწინებული მოსამართლის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება შეფასდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფად.

უვადოდ განწესებამდე განსაზღვრული ვადით დანიშვნის წესის მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები მოსამართლის შერჩევის არსებული წესი, რომელიც მოსამართლედ განწესებამდე ითვალისწინებს კანდიდატის მიერ საკმაოდ რთული პროცედურების გავლას. ამასთან, არალოგიკურია აღნიშნული წესის გავრცელება ყოფილ მოსამართლეებზე, რომელთა საქმიანობის შეფასება სრულიად შესაძლებელია წარსული სამოსამართლო საქმიანობის საფუძველზე.

მსგავსი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული სასამართლო ხელისუფლების პოზიცია. სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა ასოციაციის მიმართვა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის სწრაფად და უმოკლეს ვადებში განხილვა და კანონის მიღება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან ამ პროცესს წინ არ უძღოდა კანონპროექტის დეტალური საჯარო განხილვა. ასეთივე თხოვნით პარლამენტს მიმართა არასამთავრობო სექტორმაც. კერძოდ, „კოალიციამ

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 2013 წლის 30 სექტემბერს განაცხადა, რომ ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გარეშე და თანაც – დროის მცირე მონაკვეთში, არ იყო მიზანშეწონილი და შეიძლება სახიფათო ყოფილიყო ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ კოალიციამ განმეორებით, 2013 წლის 3 ოქტომბერს კვლავ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს დაჩქარებული წესით საკანონმდებლო ცვლილებების შეჩერებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფისკენ, თუმცა – უშედეგოდ.

მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია საერთაშორისო ინსტრუმენტები. კერძოდ, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ 1998 წლის ევროპული ქარტიის თანახმად, გამოსაცდელი ვადის არსებობა სირთულეებს და რიგ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის თაობაზე მონრეალის 1983 წლის საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, მოსამართლეთა დანიშვნა დროებით ან გამოსაცდელი ვადით შეუსაბამოა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან და ამგვარი ნორმები ამოღებულ უნდა იქნეს კანონმდებლობიდან.

მოსამართლეთა განსაზღვრული ვადით დანიშვნის შესაძლებლობა უარყოფითად შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. კერძოდ, ვენეციის კომისიამ 2010 წლის 31 ივლისის საქართველოსთან მიმართებით მიღებულ საკონსულტაციო დასკვნაში მიუთითა, რომ გამოსაცდელი ვადის დაწესებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ვინაიდან ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ წნეხის ქვეშ და მიიღონ გადაწყვეტილებები კონკრეტული ძალის სასარგებლოდ. კომისია იძლევა რეკომენდაციას მოსამართლეებისათვის გამოსაცდელი ვადის გაუქმების შესახებ. ვენეციის კომისიის ამ შეფასებას იზიარებს თომას ჰამერბერგი, რომელიც 2011 წლის 30 ივნისის ანგარიშში აღნიშნავს, რომ მოსამართლეებისათვის გამოსაცდელი ვადის დაწესების ნორმა უნდა გაუქმდეს. ევროკომისიამ 2010 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ანგარიშში აღნიშნა, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდში მოსამართლეები მეტად შეიძლება დაემორჩილონ პოლიტიკურ გავლენას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ კი 2013 წლის სექტემბერში მიღებული ანგარიშით რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფოს, მოახდინოს მოქმედი მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნა და, ამასთან, უვადოდ დანიშვნის ნორმა გაავრცელოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც.

კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო სექტორმაც. „კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ გამოხატა მასში გაერთიანებული 32 არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა და გამოსაცდელი ვადის პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მხრიდან მოსამართლეთა საქმიანობის ინტენსიური მონიტორინგი უარყოფითად აისახება მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხზე. გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის, რომელთა იგნორირება გაუმართლებელი იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უვადოდ განწესებამდე მოსამართლის განსაზღვრული ვადით დანიშვნის აღნიშნული წესი ეწინააღმდეგება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებს, ხელს უშლის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებას და მიუღებელია სასამართლო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.